შეფასება სწორია: 8 ორიანი ერთ თამაშში!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 ივნისი. მზიანი ამინდი. 32 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “ზენიტი” (ლენინგრადი) 1:2 (0:1).

გოლები გაიტანეს – სოლოვიოვმა (32) – 0:1, ვასილიევმა (46) (ორივე “ზენიტი”) – 0:2, იამანიძემ (47) (დინამო”) – 1:2.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (ხუციშვილი -65), ბარქაია, მაისურაძე, მესხი.

“ზენიტი”: ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, სოვეიკო, დერგაჩოვი, დანილოვი, სადირინი, ზავიდონოვი, ვასილიევი (კროტკოვი - 71), ბელიკოვი, ბურჩალკინი, ხოლოვიოვი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი). გვერდითი მსაჯები ვ. რიბალოვი (ორივე კიევი) და ს. პრიცკერი (ზაპაროჟიე).

დუბლიორები - 2:1 “ზენიტის” სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს – ჩირვამ და კროტკოვმა (ორივე “ზენიტი”), ილიადიმ (11-მეტრიანიდან) (“დინამო”).

მაშ ასე, ტურის სენსაციამ ჩვენს კისერზე გადაიარა: ჩემპიონი დამარცხდა, გათამაშების ცხრილში შეტანილია პირველი წაგება (წაგება საკუთარ მინდორზე), დაიკარგა 2 “დაგეგმილი” ქულა. თბილისის “დინამომ” ძალზე სუსტად, უკიდურესად ცუდად ჩაატარა მატჩი.

წლების გამოცდილებით ცნობილია, რომ როცა თბილისელები თამაშს იწყებენ ინერტულად, ნელ ტემპში, როცა მეტოქე თავშივე არაა შევიწროებული მათი სწრაფი, მძლავრი იერიშებით, ის მატჩი ჩვენ არ გამოგვდის. გუნდი ირევა, ეკარგება მთლიანობა და შემდეგ უზომოდ დიდი ჯაფის გაწევაა საჭირო, რომ მოწესრიგდეს საქმეები გამარჯვების მოსაპოვებლად.

აი, სწორედ ასე უგემურად, უტემპოდ, უხალისოდ დაიწყეს თამაში დინამოელებმა 6 ივნისს. “მოსარიდებელი” კი მათ თითქოს არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან “ზენიტის” ტაქტიკური გეგმა დასაწყისში მოკლებული იყო ყოველგვარ ორაზროვნებას და სირთულეს, თანაც, როგორც ჩანდა, ლენინგრადელებს მაინცდამაინც დიდი ილუზიები არა ჰქონიათ: მათ თავიდანვე 5 მცველი გაამწკრივეს საჯარიმო მოედანზე, რომელთაგან ერთ-ერთს - ბელიკოვს, საკმაოდ მოურიდებლად ეწერა ზურგზე [19]. “ზენიტს” აინტერესებდა ქულა და არა ნუმერაციის სწორი დაცვა და პასუხის გაცემა იმ პრობლემატურ საკითხზე: შემტევი ფეხბურთი ჯობს, თუ დაცვითი? მათ უყოყმანოდ აირჩიეს ეს ყბადაღებული დაცვითი ვარიანტი და 5 მცველიდან სოვეიკოს დააკისრეს “მწმენდელის” როლი აქცენტით მოპირდაპირე მარცხენა ფლანგისკენ, სადაც მათ წინააღმდეგ მოქმედებდა ყველზე სახიფათო ფორვარდი - მესხი.

ლენინგრადელთა მწვრთნელი ვ. ფიოდოროვი არც ცდილა დაემალა თავისი გუნდის ჩანაფიქრი. აი, მისი სიტყვები: “ჩვენთვის მთავარია გავუძლოთ “დინამოს”

შეტევებს პირველი 15 წუთის განმავლობაში, ავცდეთ გოლს დასაწყისში. მერე მდგომარეობის გამოსწორება უფრო იოლია''.

მაგრამ მწვრთნელი ''მოტყუვდა''. მისი მოლოდინი არ გამართლდა. თბილისელები სრულიადაც არ ფიქრობდნენ შეტევის დაწყებას, მით უმეტეს მესხის მხრიდან. ისინი ბურთს მინდვრის ცენტრში ატრიალებდნენ, არც ერთი ფორვარდი არ იღებდა თავის თავზე საიერიშო ოპერაციების ორგანიზატორობას და ''ზენიტმაც'' მცირე ხნის შემდეგ შვებით ამოისუნთქა: ჯერ ერთმა მცველმა წაიწია წინ, შემდეგ ზავიდონოვმა გარისკა რამდენიმე შეტევაში მონაწილეობა და როცა გუნდი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მას რაიმე ტაქტიკური ხაფანგი არ ემუქრებოდა და შიშს ზოგჯერ სულ ტყუილად აქვს ხოლმე დიდი თვალები, ამოქმედდა თავისუფლად, სრული ძალით, ინიციატივიანად, ტემპერამენტით. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ-ერთმა სტოპერმა - დერგაჩოვმა ''პარტიზანული'' ხასიათის გამოხდომები მოაწყო და ორჯერ დაარტყა კოტრიკაძის კარში. საამისო საშუალება და დრო მას უკვე ჰქონდა.

გადიოდა წუთები, ''დინამოს'' თავდასხმას კი ოდნავადაც არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. მას ეძინა. დათუნაშვილი მარჯვენა ფრთაზე მხოლოდ კუთხური ბურთების მოწოდებით იფარგლებოდა, ბარქაიას ალბათ სავსებით აკმაყოფილებდა წვრილმანი, სრულიად უსარგებლო და უმნიშვნელო, თანაც ერთობ ''უდღეური'' დრიბლინგი ცენტრში, რასაც თან სდევდა ბურთის სისტემატური დაკარგვა. შედარებით აქტიურობდა მისი უახლოესი პარტნიორი მაისურაძე, მაგრამ მას, რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში არ შეეძლო გადაეყვანა ან შეეჩერებინა ბურთი წინა ხაზზე და ტონი მიეცა თამაშისთვის. მას, ჯერჯერობით, სხვა ფუნქციები აკისრია.

მარცხენა ფლანგზე მესხი...

აი, აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ როგორ მოქმედებდა ჩვენი გუნდი მარცხენა ფლანგზე.

თუმცა... იგი სულაც არ მოქმედებდა. ისე გავიდა პირველი 45 წუთი, რომ მესხი ორჯერაც არ ჩაბმულა თამაშში. არავინ ფიქრობდა მიეწოდებინა მისთვის ბურთი, არავინ ეძებდა შემაკავშირებელ გზას აქეთკენ. მარცხენა გარემარბიც იდგა დოინჯშემოყრილი და უყურებდა როგორ აწვალებდნენ საკუთარ თავს შუა მინდორში მისკენ ზურგშექცეული ნახევარმცველები და დანარჩენი ფორვარდები.

სადაა ლოგიკა! რა აზრია იმაში, რომ ასეთი, ყოვლად გაუმართლებელი და უაზრო ბოიკოტი გამოუცხადო გუნდის ყველაზე ძლიერ, ყველაზე გამოცდილ ფორვარდს და სრულ იზოლაციაში, ''შორეულ გადასახლებაში'' დატოვო იგი. მეორე ტაიმში მესხი რამდენიმეჯერ გაიყვანეს გარღვევაზე და მისი თითოეული რეიდი ეფექტური და სარგებლიანი გამოდგა, ე.ი. საჭირო იყო ამ მანევრის მაქსიმუმამდე აყვანა, მარცხენა გარემარბის სრული გამოყენება. ამაზე კი თავი არავის შეუწუხებია. ნუთუ ''მესხის პრობლემა'' ახლა წყდება გუნდში?

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ჩვენი განთქმული ნახევარდაცვის თამაში. თუ იამანიძე მეორე ნახევარში ასე თუ ისე მაინც ამოქმედდა და შეეცადა აეყოლებინა გუნდი, გ. სიჭინავას მიერ მინდორზე გატარებული 90 წუთი არავითარი კლასიფიკაციის ნორმებში არ ეტევა და ის შეფასება, რაც მას მწვრთნელებმა დაუწერეს, ჩვენი აზრით, ჰიპერბოლურად გაზვიადებულია. ყველაფერი, რაც გარშემო ხდებოდა, გ. სიჭინავას თითქოს არც ეხებოდა. იგი უცხოსავით იდგა და სრული გულგრილობით უყურებდა, თუ რა კომბინაციებს ხლართავდა მისი უშუალო მოწინააღმდეგე ს. ზავიდონოვი.

ამიტომ იყო, რომ არავის გაჰკვირვებია, როცა “ზენიტმა” (ცხოვრებოვის მიუტევებელი შეცდომის წყალობით) 32-ე წუთზე ანგარიში გახსნა: სოლოვიოვმა მოუსწრო კოტრიკაძის მიერ მოგერიებულ ბურთს და ბადეში გაგზავნა იგი - 1:0.

სულ მცირე ხნით გამოსწორდა დინამოელთა თამაში მეორე ტაიმის დასაწყისში, მაგრამ მას შემდეგ, რაც გუნდმა ხელჩართულ ბრძოლაში დაკარგა რამდენიმე მომენტი, ლენინგრადელები კვლავ წამოვიდნენ წინ და ვასილიევმა კიდევ ერთხელ ისარგებლა გ. სიჭინავას ფლეგმატური განწყობილებით - 2:0.

მართალია, ეს გოლი წუთის შემდეგ გაქვითა იამანიძემ, მაგრამ წაგებული მატჩის სხნა გუნდმა ვერ შეძლო - 1:2.

“ზენიტთან” ჩატარებული თამაში საგანგაშოა. ეტყობა, გუნდმა სათანადოდ ვერ გამოიყენა ის ხანგრძლივი შესვენება, რომელიც მას საკავშირო ჩემპიონატში ჰქონდა. კიდევ მეტიც, - კოლექტივში ადგილი ჰქონდა დისციპლინისა და სპორტული რეჟიმის უხეში დარღვევის ფაქტებს.

განვლილი დამარცხება მით უფრო სავალალოა, რომ მატჩს ესწრებოდა სპორტული ევროპის ელიტა: ბულგარეთის, პოლონეთის, შვეიცის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ესპანეთის, გფრ-ისა და საფრანგეთის კალათბურთელები და ჟურნალისტები. არა გვგონია, რომ მათ მაღალი შთაბეჭდილება მიეღოთ სსრ კავშირის ჩემპიონის თამაშზე.

ამბობენ, ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო. დავუტოვოთ ეს ანდაზა სასულიერო წრეებს, ჩემპიონს კი ასეთი შეცდომის უფლება არა აქვს.

ბ. ქორქია.

***

აი, რა ნიშნები გამოუყვანეს “ზენიტთან” მატჩში თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს მწვრთნელებმა:

ს. კოტრიკაძე - 3.
ბ. სიჭინავა - 2.
მ. ხურცილავა - 3.
ჯ. ზეინკლიშვილი - 2.
გ. ცხოვრებოვი - 2.
გ. სიჭინავა - 2.
შ. იამანიძე - 2.
ი. დათუნაშვილი - 2.
ვ. ბარქაია - 3.
ნ. მაისურაძე - 3.
მ. მესხი - 2.
ე. ხუციშვილი - 2.

“ლელო”, 8 ივნისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 8.06.65